ჩემპიონატი

ორი “დინამოს” მატჩი

18 სექტემბერს ბერიას სახელობის სტადიონზე **კიევისა და თბილისის “დინამოს”** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა ჩაატარეს მორიგი შეხვედრა მიმდინარე წლის საკავშირო პირველობაზე.

სრულ 5 საათზე დაიწყო თამაში. ტაიმის პირველი წუთი მიმდინარეობდა თბილისელთა უპირატესობით, მაგრამ თავდამსხმელთა ხუთეულმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. მე-8 წუთიდან სტუმრები გადადიან კონტრშეტევაზე. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა კიევის “დინამოს” თავდამსხმელთა ცენტრალური სამეული, რომელმაც არაერთხელ ჩააყენა თბილისის “დინამოს” კარი აშკარა საფრთხეში.

მე-15 წუთზე კიეველთა კარის წინ არევდარევაა. მეკარე ტრუსევიჩს ხელიდან უვარდება იშვიათი ნახტომით მოგერიებული ბურთი. ამ მომენტით სარგებლობს ხარბედია და პირველი ბურთი გააქვს. მე-20 წუთზე გაგუას შეცდომა უნაკლოდ გამოიყენა შილოვსკიმ და ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელებმა ტემპი მოადუნეს. უსისტემოდ თამაშობდა ნახევარდაცვა, კერძოდ ჯორბენაძე. უტაქტიკოდ თამაშობდნენ აგრეთვე თავდამსხმელთა ხუთეული და მისი ლიდერი პაიჭაძე, ხოლო მარცხენა დამცველი გაგუა მეტწილად კარგავდა ადგილს და დაბნეულობას იჩენდა.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა გაიტანეს თითო ბურთი (პაიჭაძე და შილოვსკიმ). მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 20 სექტემბერი, 1939 წ.